საქართველოს მთავრობის

დადგენილება №171

2014 წლის 19 თებერვალი

ქ. თბილისი

„საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 სექტემბრის №77 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 სექტემბრის №77 დადგენილებაში (სსმ, 2004 წელი, მუხლი 849) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „უ“ და „ფ“ ქვეპუნქტები:

„უ) მეწარმეობის განვითარების სააგენტო;

ფ) საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 5 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**